აპლიკანტის ინფორმირებული თანხმობა

მოცემული სააპლიკაციო განაცხადის გაგზავნით ვადასტურებ, რომ

- სრულად გავეცანი თსუ-ს ვებზე გამოქვეყნებულ საკონკურსო განცხადებას და ვეთანხმები მასში მოცემულ ყველა პირობას,

- ჩემ სააპლიკაციო პაკეტში წარმოდგენილი ინფორმაცია არის უახლესი და არ შეიცავს ყალბ ან არაზუსტ მონაცემებს,

- ვაცნობიერებ, რომ პორტალზე ჩემ მიერ მონიშნულ ყველა ველში მოყვანილი ინფორმაცია საბოლოოა და სააპლიკაციო პაკეტის გაგზავნის ან ცალკეული გადაწყვეტილების შესაბამისი („გაგზავნა“) ღილაკის მონიშვნის შემდეგ შეცვლას ან/და განახლებას არ ექვემდებარება,

- ვაცნობიერებ, რომ კონკურსის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე გამომჟღავნების შემთხვევაში, ყალბი ინფორმაციის შემცველი სააპლიკაციო პაკეტი ჩემი კანდიდატურის კონკურსიდან მოხსნის ან/და მიღებული სტიპენდიის გაუქმების წინაპირობაა,

- ვაცნობიერებ, რომ კონკურსის მიმდინარეობისას გასაუბრების გრაფიკის ინდივიდუალურად შედგენა არ არის შესაძლებელი და ჩემი მხრიდან გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ჩემი კანდიდატურის განხილვიდან მოხსნის წინაპირობა იქნება,

- ვაცნობიერებ, რომ მობილობის სტიპენდიის მოპოვების შემთხვევაში, მობილობის ხანგრძლივობის საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვლა (შემოკლება ან გახანგრძლივება) დაუშვებელია,

- ვაცნობიერებ, რომ მობილობის სტიპენდიის მოპოვების შემთხვევაში, მასპინძელ უნივერსიტეტში დარჩენის სემესტრის დამატება და სტიპენდიის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კონკურსში მონაწილეობისა (თუ ასეთი კონკურსი გამოცხადდა და მის ყველა პირობას სრულად დავაკმაყოფილებ) და ახალი სტიპენდიის მოპოვების შემთხვევაში,

- ვაცნობიერებ, რომ მობილობის სტიპენდიის მოპოვების შემთხვევაში, ჩემი ვალდებულებაა სასწავლო პერიოდის დასრულებისთანავე საქართველოში დაბრუნება და დაგროვებული კრედიტების აღიარების პროცესის სავალდებულო დაწყება უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად,

- ვაცნობიერებ, რომ მობილობის სტიპენდიის მოპოვების შემთხვევაში, უცხოეთში დაგროვებული კრედიტების თსუ-ში აღიარების პროცესში ასაღიარებელი სასწავლო კურსების საკუთარი შეხედულებისამებრ შერჩევის უფლება არ მექნება,

- ვადასტურებ, რომ სრულად გავეცანი *„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილსიის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილეობისათვის სტუდენტთა შერჩევის წესს“* და მასში შეტანილ ცვლილებებს და გააზრებული მაქვს აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად ჩემი, როგორც კონკურსანტის ან/და სტიპენდიანტის, პასუხისმგებლობათა სავალდებულო ხასიათი.

სახელი *(ჩაწერეთ ლურჯი ფერის კალმით):* _____

გვარი *(ჩაწერეთ ლურჯი ფერის კალმით):* _____

პირადი ნომერი *(ჩაწერეთ ლურჯი ფერის კალმით):* _____

კონკურსის დასახელება *(მიუთითეთ სრულად თსუ-ს ვებ-გვერდზე, განყოფილებაში „მიმდინარე კონკურსები“ გამოქვეყნებული იმ კონკურსის დასახელება, რომელზეც განაცხადს აკეთებთ):*

_____

_____

_____

ხელმოწერა *(შეასრულეთ ლურჯი ფერის კალმით):* _____

თარიღი *(ჩაწერეთ ლურჯი ფერის კალმით):* _____